მეჩაიეთა პაჭრიოჭული საქმე

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲔᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 188 (12396) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲔᲐ

ᲛᲔᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲜᲒᲣᲠᲘ—ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲧᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲧᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲢ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲕᲒᲚᲘᲚᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲬᲔᲚᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᭭ᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 125 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲞᲔᲠᲗᲘᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝᲡᲘ ᲛᲙᲠᲔᲤᲐᲕᲘ. ᲒᲐᲨᲐᲤᲣᲚᲖᲔ ᲛᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ 0,6 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ 4 ᲢᲝᲜᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ. ᲚᲐᲛᲐᲠᲐᲛ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲯᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ 5 ᲢᲝᲜᲐ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝ“. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲩᲐᲘᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲘᲚᲐᲝᲤᲘᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲛᲝᲩᲠᲘᲤᲝᲡ 1.500 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲩᲠᲔᲤᲐᲕᲘ Ლ. ᲞᲔᲠᲗᲘᲐ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ), ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲠᲔᲤᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ).

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲜᲘᲡ.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲛᲝᲡᲐᲯᲕᲚᲗᲣᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲐ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲯᲣᲛᲠᲔᲑᲘ

10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲕᲝᲚᲒᲝ�გᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲣᲒᲕᲔᲕᲘᲗ. ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲡ ᲡᲐᲮᲚᲐᲠᲗᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ Ш. ᲯᲣᲠᲝᲕᲘ. ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲜᲐᲜᲢᲘ Ზ. Გ. ᲒᲝᲠᲒᲝᲕᲘᲐ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲜᲐᲜᲢᲘ Ა. Გ. ᲡᲘᲛᲔᲠᲯᲘᲔᲕᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲜᲐᲜᲢᲘ Ნ. Ნ. ᲩᲘᲠᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲐ ᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ ᲛᲝᲒᲕᲬᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲘᲠᲘᲡᲮᲛᲝᲑᲐ. ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲕᲐ ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲤᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲥ ᲨᲔᲛᲐᲠᲘᲚᲘ ᲔᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲯᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲜᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

□

ᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ Ნ. Ნ. ᲩᲘᲠᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲜᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲒᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ.

ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ... ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲘ.

ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ... ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲨᲔᲣᲤᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲥᲝᲠᲬᲘ ᲐᲛᲐᲓᲣᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘ). ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘ ᲐᲛᲐᲓᲣᲡ ᲡᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲘᲗᲗᲝᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲪᲘ ᲗᲣᲠᲛᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲑᲝᲚ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲗᲝᲗᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲗᲝᲗᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲑᲝᲚᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲗᲝᲗᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲠᲐ

ლენინური ეროვნული პოლიტიკა

შვიდწლედის 1308-ე დღეს

შვიდწლედის 1308-ე დღეს იყო ეს.

ენგურს ფეხდაფეხ ავდივარ და ჯვართან დავივაკე.

სვანეთს მერეები მოვარდნილიყო და გამებებული მდინარე მუხლის ძალას უსინჯავდა მთებს.

საოცარი იყო მთისა და მდინარის შერკინება. ტალღებს კბილები უცვდებოდათ პიტალო კლდეებთან ჭიდილში.

...დაჯარდნენ კლდენი და იწროებში ჩაკეტეს ენგური.

ჩაკეტეს? არა!

სვანეთში დაბადებულ მდინარეს სვანის ხასიათი აქვს. ენგურმა იქუხა იწროებში და კლდეებს ზღვისაკენ გაექცა.

ნუთუ ეს კლდეთა მჯაბნელი მდინარე ადამიანის მარჯვენამ უნდა მოთოკოს, გავიფიქრე წამით და მაღალ მთებს ავხედე. მთებს ნისლის ყაბალახს უხევდა ქარი და თითქოს ეუბნებოდა:

—ქუდის ტარების რა ღირსი ხართ ძლეულნენო.

ქუდი ენგურჰესის მშენებლებს შვენით და მკლავიც უჭირთ.

აქ ქუდზე კაცი მოსულა გუმათჰესიდან, ლაჯანურჰესიდან, ბრატსკჰესიდან, სორმშენიდან...

მუშები და ინჟინრები, ჭაბუკნი და ხანში შესულნი, ცხოვრებით დაბრძენებულნი და ახალბედანი.

დიდი ნადობა აქვთ ჯვარელებს.

ენგურჰესს აგებენ ქართველი შუქრი თვარაძე და რუსი ნიკოლოზ კოროსტელიოვი, სომები ხაჩიკ ნერსესიანი და უკრაინელი ანია მოსოვიჩენკო,... და ათასნი სხვანი, ყაზახნი თუ უზბეკნი, ქართველთა ძმანი.

— ეჰეი, კლდენო, თქვენ ვინ მოგცათ ძალა ისეთი, როგორც შრომაში შობილი ეს დიდი მეგობრობა ქმნის, ვფიქრობდი გულში.

მე ქვეითად მივყვებოდი ენგურს.

სვანეთიდან აფრენილმა არწივმა ყაშყაშით გადაუარა ჯვარს.

არწივის საფრენ სიმაღლიდან დამაწახა ენგურჰესის პანორამა, ვინატრე გულში.

შვეულმფრენით ცაში რომ ავფრენილიყავ იმ წუთს, თვალწინ გადამეშლებოდა მომხიბვლელი სანახაობა.

...ზუგდიდიდან რკინიგზის ახალი ტოტი მიიკლაკნება ბესისაკენ. მზეზე ბზინავენ ფოლადის რელსები. ხვალ ამ გზაზე გრუხუნით ჩაივლიან მატარებლები. დღეს კი მშენებლები ლიანდაგს აწყობენ და რელსებს ენგურჰესისკენ მიეჩქარებაო.

ენგურის მარცხენა სანაპიროზე კოშკურა ამწეებს ეირფეხებივით დაგრძელებიათ კისრები. სახლები სოკოსავით მომრავლებულან. აქ შენდება ახალი დაბა — ზედა ჯვარი. ის ჯერ წალენჯიხის რაიონის რუკაზეც არ არის აღნიშნული, მაგრამ ხვალ, როცა აქ უნიკალური ბესი აგუგუნდება, მსოფლიოს გეოგრაფიები თავიანთ რუკებზე აღნიშნავენ ამ პუნქტს. ასე ფიქრობენ ზედა ჯვარის მშენებელი ინჟინერი ახოვანი ვაჟკაცი ვლადიმერ ჭარბაძე და მისი არწივები.

მისი არწივები კი ჯანღონით სავსე, მზემოკიდებული ვაჟკაცები არიან.

დურგლები და მემონტაჟეები.

მებეტონეები და ქვისმწყობლები.

ვაჟკაცი კირითხურონი ექვსი ათას მშენებელს უგებენ ბინებს. დაელოცოთ მარჯვენა.

...არწივის საფრენი სიმაღლიდან ენახავდი ენგურის მარჯვენა სანაპიროს, სამერზაყანოს მიწებს. გალის რაიონში, საბერიოსა და დიბაზურგში შენდება მუშათა დაბა. მოასფალტებული გზები საბერიოსკენ მიისწრაფვიან:

მაგრამ მე შვიდწლედის 1308-ე დღეს შვეულმფრენში არ ვიჯექი, ქვეითად მივყვებოდი ენგურს.

და შევხვდი გზაზე ოდიშელ მოხუცს.

ორბის თვალები და კეხიანი ცხვირი ჰქონდა ბერიკაცს. წელში ოდნავ მოეტეხა ოთხმოცდაათ წელს; მაინც მხნედ გამოიყურებოდა. ცალპირაა, თორემ ხანჯალი, მწყემსური დანა ეკიდა სარტყელზე.

პაპა მახაზს ეძახის თურმე მთელი ჯვარი.

ჯვარი მთელს ოდიშშია განთქმული თავისი ფოლკლორით. იქნებ ახალი რამ მითხრას-მეთქი, და მოხუცს ლეგენდებსა და ზღაპრებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— ზღაპარი?! ამაზე მეტი ზღაპარი რა გინდა, შვილო, წინათ ჯვარში თამადა ისე სადღეგრძელოს ვერ იტყოდა, რომ არ ეთქვა, იმდენხანს იცოცხლეთ, სანამ ენგურმა დინება არ შეეცვალოსო. დღეს კი ჯვარელები სასჯაულის მოწმენი ვართ, ენგურმა ახალი გზით უნდა იდინოს.

ბერიკაცმა ყალიონი ამოიღო და გაბმილა.

— ჩემი კარის მეზობელს ბიჭი, — ჭარდავა, — ჯარიდან დაბრუნდა და აქ დაიწყო ბესზე მუშაობა. ერთხელ ვეხუმრე: ერთი უგერგილო ვინმე ხარ, შენ რას გახდებ, ენგური დასაბამიდან ამ კალაპოტით მოედინება, ასე ინება ღმერთმა-მეთქი.

ეშმაკურად გაეღიმა მოხუცს, გააბოლა.

— იცით რა მიპასუხა ეშმაკის კერძმა? თვალები მოკუტა

— ჩვენ, ახალგაზრდები, ღმერთის შეცდომას ვასწორებთო. ენგურმა ჩვენს ნებაზე უნდა იდინოსო, თუ დაგვჭირდა, ამ მთებსაც დავძრავთ ადგილიდანო.

ერთხანს დუმდა მოხუცი.

— სიბაბუკემ ეგრე იცის, — დაუმატა მერე.

ვეებერთელა ლოდზე ჩამოვსხედით.

— ამ ქვას არამხუტუს ქვას ეძახიან ჯვარში. არამხუტუ ხომ იცით, ამირანის მეგრული სახელია. ამირანს ბერძნული სახელიც ჰქვიან, მითხრა სოფლის პედაგოგმა, მაგრამ დამავიწყდა.

— პრომეთე, — შეეახსენე მოხუცს.

— ჰოდა, ჩემმა ბადიშმა მითხრა, ისიც ბესზე მუშაობს, მაგ პრომეთე, — მოხუცმა ხელი თეთნულდისაკენ გაიშვირა, იცი, იქ ყოფილა თურმე მიჯაჭვული, ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა თურმე ადამიანებისათვის.

როცა ენგურისპირას მორეებითა და ფოლადის მილებით დატვირთული მანქანების ხმაური მიწყნარდა, მოხუცმა განაგრძო:

— ჰოდა, ჩემი ბადიში გიზო ამბობს, ჩვენ ენგურჰესის მშენებლები, ჩვენი დროის პრომეთეები და ამირანები ვართო.

— ოქროპირი ყოფილხართო, პაპა მახაზ, თქვენნი შვილიშვილიც პოეტია ალბათ, — სიბარულით წამოვიძახე.

— პოეტი? — გაიღიმა მოხუცმა, — ჯვარში ჯერ პოეტი არ დაბადებულა, მაგრამ ლექსებს ბევრი წერს.

მე მოხუცის სიტყვები მომეწონა: ჩემი ბაღში ამბობს, ენგურჰესის მშენებლები ახალი დროის პრომეთეები ვართო.

მართლაც რომ პრომეთეოსნი არიან. მათ უნდათ ცეცხლი მოსტაცონ ენგურს ადამიანისათვის. რით არ არიან პრომეთეოსნი?

— გვირაბი თუ ნახეთ? წამოდით, ვნახოთ. — მითხრა მოხუცმა.

ლაყორიას გორასთან რიყეზე დავეშვით.

მარჯვნივ და მარცხნივ მშენებელთა სახლებია წამოჭიმული.

მარჯვნივ სახადილო, მარცხნივ მედპუნქტი.

მთიდან ცივი წყალი მილებით ჩამოუყვანიათ მშენებისათვის.

პირველი ცვლა ბრუნდება, მეორე ცვლა მუშაობას შეუდგა. ელექტრომონტიორები შერცხლებივით ჩამობსხდარან ბოძებზე და მავთულს ჭიმავენ.

მე და პაპა მახაზი გვირაბისაკენ მივდივართ.

ენბშრის ღმუილს ლაღუმების გრიალი არღვევს. გეოლოგები იკვლევენ ქანებს, ძალას უსინჯავენ მთებს.

— ხომ არ დაინგრევით მთებო, გვირაბით რომ გაგფაროოთ? — ეკითხებიან მშენებლები და გეოლოგები.

— ცხრა გვირაბსაც გაკუღლებთ! — იქადნიან მთები. მაგრამ გეოლოგებს არ სჯერათ და მთების გულმკერდში ლაღუმებს აფეთქებენ.

მთები ბუზებივით აიფრენენ ლაღუმებს და გეოლოგებს ნიშნის მოგებით ეუბნებიან:

— გაგიძელით თუ არაო.

გეოლოგები რწმუნდებიან მთების სიმტკიცეში და მშენებლებს იტყვიან:

— აქ შეიძლება გვირაბის გაყვანა, მუხლმაგარი მთები დგას.

ბინდბუნდამდე გრიალებენ ლაღუმები.

პაპა მახაზი ამბობს:

— ომის შორეულ ექოს მაგონებს ეს სამშვიდობო ხმაური. მახსოვს სამამულო ომის დროს აქ გერმანელებმა დესანტები ჩამოსხეს.

— მერე? —

— ჯვარში გერმანელებმა თავიანთი საფლავის ჯვარი ჰპოვეს. — თქვა მოხუცმა, — ხოლო ჯვარელმა მელიტონ ქანთარიამ ჯვარები არ დატოვა დაულეწავი ბერლინში და დროშა აიფრიალა ჰიტლერის ბუნაგზე.

ცოტა ხანს დუმდა მოხუცი. ეამაყებოდა, რომ ქანთარია მისი თანასოფელი იყო. ერთი ამხედა, ალბათ უნდოდა გაგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნათქვამმა.

ორეული ნაბიჯზე გვირაბი გამოჩნდა.

გვირაბიდან ქანების გამოსატვირთავად მცირე ლანდგადი გაეყვანათ მუშებს.

— პაპა მახაზს გაუმარჯოს!

იტყობა მოხუცი მათი ხშირი სტუმარია. ყველა იცნობდა. ზუგდიდელი ინჟინერი გიზო შეროზია ხელმძღვანელობდა ცვლის მუშაობას. თბილისში დაუმთავრებია პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

წარმოსადეგი ვაჟკაცი ამ პაპანაქება სიცხეში გაცივებული იყო.

— პარადოქსია, არა, ამბობს ის. გვირაბში ცივა, მდინარის პირას ცხელა. სხვადასხვა ტემპერატურის ხშირი მონაცვლეობა მე კი არა, ამირანსაც წაქცევს. ამირანის ხსენებამ ისევ პაპა მახაზის სიტყვები გამახსენა: ბადიშმა მითხრა, ენგურჰესის მშენებლები ამირანები ვართო.

არა, სრულებით არ ჰგვანან მითური ამირანს არც გიზო. არც გურამ გოკაძე, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, არც ლეჩუმელი ჭაბუკი ნუგზარ ბუხრაიაშვილი სოფელ სპათაგორიდან რომ ჩამოსულა ჯვარს, არც ლალაშელი დავით თვარაძე, არც სვანი ვაჟკაცი პავლე გირგვლიანი. ხოხოსმაერი ქართულით მოლაპარაკე, არაფრით არ მოგვაგონებენ მითურ გმირებს. ეხენი უბრალო ჭაბუკები არიან.

მაგრამ დასტურ არამხუტუს ძალა ეძლევათ, როცა მიწოსქვეშა ექსკავატორებით, საბურღავი ჩაქუჩებით ანგრევენ კლდეს, გაყავთ გვირაბი, რომ ენგური ახალ კალაპოტში გადააგდონ.

— გვირაბს ზემოთ იქნება 300 მეტრი სიმაღლის, ევროპაში უმაღლესი უნიკალური თაღოვანი კაშხალი, ეს არის ენგურჰესის პირველი საოცრება, — ამბობს ინჟინერი გიზო შეროზია. — ენგურჰესის მეორე საოცრება, — განაგრძო მან, — იქნება მიწისქვეშა ჰესი, ეს ორი საოცრება მსოფლიო მასშტაბისაა.



ბიბი კუპუხიძე.

* * *

მაგრამ ამ დღეს ენგურჰესზე გრძელდებოდა ლეგენდა ცეცხლის მოტაცებისა. შენდებოდა ჰესი, ადამიანები ცეცხლს ტაცებდნენ მდინარეს სვანეთისა და ოდიშის ზღვარზე, რომანტიკისა და ეგზოტიკის მხარეში.

შრომის სიმფონია სინამდვილედ აქცევს ლეგენდას, — ვფიქრობდი გულში და ზუგდიდისაკენ მოვბიჯავდი მესტიის გზაზე.

ახალდაგებული ასფალტი მზეზე ლაპლაპებდა. გზის სატკეპნი მანქანებისა და ბულდოზერების გამაყრუებელი გუგუნი იდგა.

— ოხარკალუს წყაროებს აქებენ, — თქვა პაპა მახაზმა, — მოგვიხდება ამ პაპანაქებაში.

წყაროსთან მივედით; იქვე ეზისპირას ჩუხჩუხებდა, ორი ქალაშვილი წყურვილს ეკლავდა.

ერთი სვანი ეძახიან, ერქვა, მეორე რუსი — თამარ.

ენგური ჯვარის ტატრიტორიაზე არიან. [illegible] შაობენ.

— აქ ვმუშაობთ, გზა გაგვყავს, — დაგვიმოწმეს ჯვარელმა პატარძლებმა, ერთმა ხორხისმიერი ქართულით, მეორემ რუსულად აქცენტირებული ქართულით.

— კარგად მუშაობთ, ალბათ, — ჩავურთე მე.

— ვცდილობთ. ეღიმებათ პატარძლებს.

რესპუბლიკის პირველი სახიძონი და საქართველოს პირველი საპატარძლონი ოფლს ღვრიან ენგურჰესის მშენებლობაზე ჯვარში.

— ქორწილები მაშინ ნახეთ, პაპა მახაზ, ვეუბნები მე, როცა საქართველოს კოკაკშირი ჯვარში 5-6 ათას რჩეულ ჭაბუკსა და ქალიშვილს გამოგზავნის.

— ეს ხომ უტუს ჯარზე მეტია!

კმაყოფილად ეღიმება პაპა მახაზს.

დღეს ჯვარში მართლაც მსოფლიოში უნიკალურ ბესს აგებენ და წყვეტენ ეპოქალურ ამოცანას.

ინჟინერმა გ. კუპუხიძემ, რომელსაც საქართველოში სამი ბესის ჩირადღნები აუწთია, თქვა:

— კრემენჩუგის ბესის გახსნაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემენჩუგელები აქო ჰიდროშენებლობაში ეკონომიურ გადაწყვეტათა დანერგვისათვის. ცოდვა გამხელილი სჯობია: ჩვენც გვინდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქება დავიმსახუროთ ენგურჰესის გახსნის დღეს.

ქუდზე კაცმა შეუტია ენგურს პარტიის დაძახილზე.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთი ბასტიონი შენდება ენგურის პირას.

მე ის ვნახე შვიდწლედის 1308-ე დღეს.

გუგუნებდნენ მთები და მესმოდა კომუნიზმის ფეხსხმა ჯვარში.

ვლადიმერ ალფენიძე.

ზუგდიდი-ჯვარი.

აგვისტო.



ფიცი გვწამს, გოლო გვაკვირვებს

ერთ დაგერეგულ მშენებლობაზე

□

ცხინვალის განაპირას, რკინიგზის გადმოღმა დიდი ხანია მოჩანს წითელი აგურით ნაგები კორპუსები. აქ წლების მანძილზე მიმდინარეობს შამპანური ღვინის პირველადი დამუშავების ქარხნის მშენებლობა.

შენდება კი? მრავალ ცხინვალელს შეუმჩნევია დაობებული ხარაჩოები.

ჯერ კიდევ 1960 წელს გვეუბნებოდნენ, რომ ქარხანა მუშაობას დაიწყებდა, მაგრამ გავიდა 1960 წელი, მის შემდეგ კიდევ — ორი წელი, ვერა და ვერ მოხერხდა ამ ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემა. ეს იმ დროს, როცა სამხრეთ ოსეთში ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი, მეტი და მეტი ყურძენი მოდის გადასამუშავებლად. მდგომარეობა მოითხოვს მშენებლობის სწრაფად დამთავრებას, მაგრამ...

აი სწორედ ამ მაგრამის შესახებ გვინდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

წელს გვითხრეს მშენებლობა დამთავრდება და ქარხანა სექტემბერში ამუშავდებაო. გულახდილად ვამბობთ — ასეთი ვარაუდიც საეჭვოდ მიგვაჩნია. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ დიდძალ სამუშაოებს, რაც აქ მოკლე დროში უნდა განხორციელდეს, არსებული ძალებით და საშუალებებით ვერ შევასრულებთ. გამოდის ისე, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

დავიწყოთ მუშახელით. მშენებლებმა რომ ეს დავალება გააღდონ, ყოველდღიურად ხარაჩოებზე უნდა იდგეს და შრომობდეს სულ ცოტა 70-80 კალატოზი, მებათქაშე, მებეტონე და სხვა კვალიფიციური მუშა. ამჟამად კი მათი რაოდენობა 40-45-ს არ აღემატება.

ისმება კითხვა, ძნელია თუ არა ამ მუშახელის მონახვა ადგილზე, ცხინვალში? რა თქმა უნდა, არა! გადავხედოთ კერძო საცხოვრებელ სახლებს ქალაქში, სოკოსავით რომ იზრდებიან. იქ მრავალი კვალიფიციური მუშა შრომობს. ბევრი მათგანი ემალება საფინანსო ორგანოებს, თავს არიდებს რეგისტრაციას.

ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს პარტიის ცხინვალის ქალაქკომისია და საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარება მშენებლობებისადმი. ქალაქის მკვიდრს გული უნდა შესტკიოდეს მშობლიური ადგილის კეთილმოწყობისა და ახალმშენებლობებისათვის.

თუმცა მარტო მუშახელის ნაკლებობით როდი ფერხდება შამპანური ღვინის პირველადი დამუშავების ქარხნის მშენებლობა. ხშირია შეფერხება **დამკვეთი ორგანიზაციის — მატერიალტექნიზეზი**თაც. სამშენებლო სამმართველოში, მუშათა კოლექტივში, ხარაჩოებზე ხშირად გაიგონებთ საყვედურს სამტრესტის მისამართით — დაფინანსებას აგვიანებსო. დიახ, არის ასეთი შემთხვევები. ერთ ხანს დამკვეთმა ორგანიზაციამ — ტრესტმა იკისრა საშენი მასალებით მომარაგება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა სამშენებლო ორგანიზაციას შემოაქვს მასალები. სასიხარულოა, რომ საქმე ამ მხრივ უკეთ წავიდა, თუმცა არის შემთხვევები, როცა მშენებლობას კვლავ აკლია ცემენტი, რკინა, ხეტყე...

არის მშენებლობის გაჭიანურების კიდევ ერთი მიზეზი. ობიექტი ახლა ისეთ ფაზაში შევიდა, როცა ერთდროულად და მაღალი ტემპით უნდა მიმდინარეობდეს სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები. საქმე ეხება განათებას, გათბობას, წყალს, კანალიზაციას, **დაზგა-დანადგარების** მონტაჟს. ყველა ამ სამუშაოებს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს დაკვეთით სხვადასხვა სპეციალური ორგანიზაციები ასრულებენ. მაგრამ ასრულებენ ნელა, ცუდად. კორპუსები დახურულია და შეიძლება ერთდროულად ყველა სახის შიდა სამუშაოების წარმოება. მიუხედავად ამისა, თვით სამშენებლო სამმართველოსაც არ დაუწყია ორთქლის ქვაბის მონტაჟი. სპეციალისტები არა გვყავსო — თავს იმართლებენ. სინამდვილეში კი საქმეს თავი ვერ მოაბეს.

„კაველექტრომონტაჟის“ გორის უბანს (უფროსი ჯ. ცხადაშვილი) დავალებული აქვს ელექტროგაყვანილობის მოწყობა. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ამ უბნის სამუშაოთა მწარმოებელი ს. მარიამიძე. მაგრამ ამ დარგში შესამჩნევი არაფერი გაკეთებულა. მშენებლობაზე სინათლე არ არის. ელექტროენერგიის უქონლობის გამო სამშენებლო ტექნიკა ვერ მოქმედებს. თუმცა ელექტროდენის დროებითი ხაზი თავიდანვე სამშენებლო სამმართველოს უნდა გაეკეთებინა. ჭიანურდება მაღალი ძაბვის ელექტროდენის კიოსკის მშენებლობა. კარგს ვერაფერს ვიტყვით წყალსადენის, გათბობის საკითხებზე. ამაზე მხოლოდ ახლა ფიქრობენ.

ყოველივე ამის გამო ეს მშენებლობა სამარცხვინოდ გაჭიანურდა. სამშენებლო ობიექტი დაბერდა, როგორც იტყვიან წვერი წამოეზარდა. ჩვენ გვინდა, რომ სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველომ, სხვა მშენებელმა ორგანიზაციებმა პასუხისმგებლობა გამოიჩინონ, რათა ეს ქარხანა ამუშავდეს და თავისი მოვალეობა შეასრულოს.

„კომუნისტის“ საგუშაგო:

მ. გუზიტაევი — მშენებელთა ბრიგადირი, რ. გუთნიაშვილი, რ. გუზიტაევი, ე. ცხოვრებოვი — მებეტონეები, უ. კუდუხოვი — დურგალი.

ზოგავალი კედაგოგები გამოცდეგზე

დასასრული უახლოვდება მისალები გამოცდები თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. რვაასამდე ახალგაზრდას სურს გაიდგეს ამ ინსტიტუტის სტუდენტი. წელს სამ ფაკულტეტის დილის განყოფილებაზე მიიღებენ 140 აბიტურიენტს, ხოლო საღამოს განყოფილებაზე — 225-ს. ბევრს უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება წარმოებისაგან მოწყვეტლად. მათ შორის არიან ისინი, ვინც სამუალო სკოლა ოქროს მედლით დამამავრეს: სვეტლანა შვედიანი, დალილა მარტიროსიანი, მანონ ჯორჯიკია, ლილი ნეტუტბიძე, და ისინი, ვინც თავი გამოიჩინა ფაბრიკებსა და ქარხნებში საკლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში.

თითოეულ ფაკულტეტზე სამი პროფესია. ერთ-ერთი მათგანი ნელს პირველადაა შემოღებული, — სტუდენტი ერთდროულად მიიღებს უცხო ენისა და მუსიკის მასწავლებლის კვალიფიკაციას.

წელს რესპუბლიკის მთიანმა რაიონებმა თიანეთის, დუშეთის, ახმეტის, ახალციხის, დმანისის რაიონებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — თავიანთი ლიმიტებით გამოგზავნეს ინსტიტუტში აბიტურიენტები.

ინგლისური ენის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე უგამოცდოდ ჩარიცხულია დემობილიზებული ალექსანდრე გრიგორიანი. (საქდესი)



ეს ადამიანები ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის წინა ხაზზე იბრძვიან. მართალია, ისინი სხვადასხვა უბანზე შრომობენ, მაგრამ მათ ერთი სიტყვა აერთიანებთ—მოწინავენი. **სურათებზე:** (ზევით) „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის № 1 შახტის მემანქანეები (მარცხნიდან) მ. ხალნიკოვი, გ. ჩოგოვაძე, ბ. ლოზა; (ქვევით) თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მექანიკური საამქროს ოსტატი ი. ყანჩაველი (მარცხნივ) და მღარავი ა. ძაძამია.

ფოტო ი. ჯობნელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და შ. ჩხეტიანისა.

დაფანჯული კლასები

ფოთი. კოლხიდის უძველესი ქალაქი. რა შედარებაა ძველსა და ახალ ფოთს შორის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაოდენ გაიზარდა იგი. ამჟამად ფოთში 7 საშუალო, 2 რვაწლიანი და 2 დაწყებითი სკოლაა. მოსწავლეთა რაოდენობა 6 ათასს აღემატება. ბავშვთა კონტინგენტის ზრდას, სამწუხაროდ, სკოლების მშენებლობა არ მოჰყოლია.

ამის შედეგია, რომ ახლა ქალაქის ერთ სკოლაზე საშუალოდ 700-მდე მოსწავლე მოდის. კერძოდ, პირველ საშუალო სკოლაში 843 მოსწავლე ირიცხება. სკოლა ორ ცვლად მუშაობს. მისი შენობები დაფანტულია. ოთხი კლასი მოთავსებულია ჯორჯაძის ქუჩაზე, ხოლო სამი კლასი კოლხიდის ქუჩაზე მედიცინის დებინ სკოლის შენობაში. მასწავლებლებს შესვენების წუთებში უხდებათ შენობიდან შენობაში, ქუჩიდან ქუჩაში სირბილი. ასეთივე მდგომარეობაა მესამე საშუალო, პირველ და მეორე რვაწლიან სკოლებში.

წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს საშუალო სკოლა ნაბადას უბანში. სკოლა განკუთვნილია 440 მოსწავლისათვის, ექნება 9 საკლასო ოთახი და 2 კაბინეტი ფიზიკისა და ქიმიისათვის. იმ სკოლაში კი, რომელიც წლების განმავლობაში ნაქირავებ შენობაში იყო შეხიზნული და ახლა ამ ახალ შენობაში უნდა გადავიდეს, 22 კლასია. ფაქტია, რომ 9 საკლასო ოთახში 22 კლასი ორ ცვლად ვერ იმეცადინებს.

სამ ცვლად რომ არ იმუშაონ, პირველი და მესამე საშუალო სკოლების შენობებზე დაიწყეს საკლასო ოთახების მიშენება. პირველ საშუალო სკოლას მოუშენდება 12 საკლასო ოთახი, ხოლო მესამე საშუალო სკოლას — 6 ოთახი, ორივე სკოლის მიშენებაზე 69 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს, მაგრამ ამ ბოლო დრომდე ათვისებული იყო მხოლოდ 22 ათასი მანეთი. ქალაქის კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო კანტორა ნელი ტემპით აწარმოებს მშენებლობას.

წელს კაპიტალური რემონტი გაუკეთდება სამი სასკოლო და 2 საბავშვო ბაღის შენობას, ხოლო მიმდინარე რემონტი — 8 სკოლას და 2 საბავშვო ბაღს. სულ უნდა დაიხარჯოს 41 ათასი მანეთი. მაგრამ მშენებლები მეტად ნელი ტემპით მუშაობენ.

ფოთში კეურორტ მალთაყვის ტერიტორიაზე შენდება სკოლა-ინტერნატი.

გაზეთმა „კომუნისტმა“ ბაღული წლის აგვისტოში მოთავსა კორესპონდენცია სათაურით — „გულგრილობა თუ უპასუხისმგებლობა?!“ სადაც გაკრიტიკებული იყო ამ ინტერნატის მშენებლობა.

ეს მშენებლობა შარშან 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ წელსაც საეჭვოა მისი არათუ მთლიანად, არამედ მარტო სასწავლო კორპუსის გადაცემა საექსპლოატაციოდ.

წელს სკოლა-ინტერნატის მშენებლობას აწარმოებს ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის № 10 სამშენებელო სამმართველო (უფროსი ო. გულუა). გეგმები სრულდებოდა თვეების და კვარტალების მიხედვით, მაგრამ რატომღაც ახლა საძინებელი კორპუსის მშენებლობა შეჩერებულია.

არც სასწავლო კორპუსის მშენებლობაშია ყველაფერი რიგზე. არ არის გაკეთებული კიბის მოაჯირები, სპორტდარბაზის იატაკი, შიდა წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები და სხვ. სასადილოს იატაკის დაგება დამთავრებული არ არის, მოუწყობელია სამრეცხაო. წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები ნელი ტემპით სრულდება. ბევრია გასაკეთებელი აგრეთვე სამეურნეო კორპუსში. მშენებლებს სასწავლო კორპუსის იატაკისათვის 15 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა აკლიათ.

უარესი მდგომარეობაა ნაბადას უბანში საშუალო სკოლის მშენებლობაზე. აქ 440 მოსწავლისათვის სკოლის მშენებლობა დაიწყეს 1961 წლის მაისში. შარშან გეგმით გათვალისწინებული 40 ათასი მანეთი მშენებლებმა აითვისეს. მაგრამ წელს ცუდად იმუშავეს. 6 თვის გეგმა მხოლოდ 75 პროცენტით შეასრულეს. მშენებლებს აკლდათ ხე-ტყის მასალა. თავს დროზე არ შესრულდა დაკვეთები. მაგალითად, „კავსანტექმონტაჟმა“ და „კაველექტრომონტაჟმა“ შიდა სანტექნიკური და ელექტროგაყვანილობის სამუშაოები გააჭიანურეს. მიღებული არ არის ზომები სკოლა-ინტერნატის და სკოლის შემოღობვისა და კეთილმოწყობისათვის. ეს სამუშაო პროექტში არ გათვალისწინებულ.

რა ზომებს ღებულობენ ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის საბჭოს აღმასკომი?

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე განიხილეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი, კარგი ღონისძიებაც დასახეს, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

სასწავლო წელი მალე დაიწყება და ნაცვლად იმისა, რომ მუშაობა გაჩაღდეს, სკოლა-ინტერნატის მშენებლობას 15 დამხმარე მუშა აკლია, ხოლო საშუალო სკოლის მშენებლობაზე 42 მუშის ნაცვლად მხოლოდ 28 მუშაობს.

კაბინეტ-ლაბორატორიების შესაფასებად ბათუმიდან უნდა შემოეზიდათ 15.500 მანეთის ნივთები. ამ თანხიდან ათვისებულია მხოლოდ 1.800 მანეთი. ეს იმიტომ, რომ ბათუმის ბაზას კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის აუცილებლად საჭირო ხელსაწყოები არ გააჩნია. სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მიღებული არ არის. რაც მიღებულია, ისიც რატომღაც საწყობში ინახება, არ ხდება მისი რეალიზაცია.

ახალი სასწავლო წლისათვის ასეთი „მზადება“ არ შეშვენის ქალაქ ფოთს.

გ. ნოდია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

პირუტყვს ეძნება საკვები — გვეძნება ხორცი, რძე!..

იმარაგებენ პირუტყვის საკვებს

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველდღე დილით ადრე სილოსის დასამზადებლად, თივისა და ნამჯის ასაღებად მიეშურებიან ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. თივა უკვე აღებულია და დაზვინულია 8.400 ტონა, ნამჯა — 5 ათასი ტონა, ხოლო სილოსი ჩადებულია 6 ათასი ტონა.

პირუტყვის საკვების მომარაგების საქმეში ორგანიზებულად მუშაობენ დმანისის რაიონში. აქ მოკლე ხანში სიმინდის მწვანე მასისა და საკვები ბალახისაგან დაამზადეს 5.200 ტონა სილოსი. ამ საქმეში დაწინაურდნენ ბაშკოჩეთის მეცხოველეობის სანაშენო, ყარაბულაღის მებოსტნეობამერძევეთის საბჭოთა მეურნეობები, გომარეთის კალინინის სახელობის და კიროვისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. მარტო ყარაბულაღის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღე 12 ავტომანქანა და 2 სილოსის საპრელი მანქანა სრული დატვირთვით მუშაობს სილოსის დასამზადებლად.

სულ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში თივისა და სასილოსე მასის გადასატანად მუშაობს 150 ავტომანქანა და 23 სილოსსაპრელი მანქანა.

წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ნაწვერალზე სიმინდი უკვე დაითესა 360 ჰექტარი. გათვალისწინებული აქვთ კიდევ დაფარვა ათასი ჰექტარი.

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). ზესტაფონის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ნათესების დამუშავებასთან ერთად იღებენ თივას, სილოსისათვის სიმინდის მწვანე მასას. უკვე დასილოსებულია 72.908 ცენტნერი სიმინდი. ამ საქმეში შედარებით წინ მიდის საჩხერის რაიონის სოფელ ორღოლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ უკვე დამზადებულია 2.800 ცენტნერი სილოსი, რაც გეგმის 60 პროცენტს უდრის. ასევე თითქმის ამავე რაიონის სოფელ ჭალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაზე.

სამწუხაროდ, პირუტყვისათვის საკვების მომარაგება ნელი ტემპით მიმდინარეობს ჭიათურაში. დამზადებულია გეგმის მხოლოდ 2 პროცენტი, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში — 7 პროცენტი. შედარებით წინ მიდიან საჩხერისა და ზესტაფონის რაიონები. პირველში სილოსი დამზადებულია გეგმის 14 პროცენტი, ხოლო მეორეში — 10 პროცენტი.

ტემპი არასაკმარისია

ფოთი. („კომუნისტის“ კორ.). ფოთის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ნათესების დამუშავებასთან ერთად იღებენ თივას, სილოსისათვის სიმინდის მწვანე მასას. უკვე დასილოსებულია 72.908 ცენტნერი სიმინდი. ამ საქმეში შედარებით წინ მიდის საჩხერის რაიონის სოფელ ორღოლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ უკვე დამზადებულია 2.800 ცენტნერი სილოსი, რაც გეგმის 60 პროცენტს უდრის. ასევე თითქმის ამავე რაიონის სოფელ ჭალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაზე.

სამწუხაროდ, პირუტყვისათ

შევაჩეროთ ფრანკისტი ჯალათები

„ყველა იმ ადამიანის სახელით, ვინც ამ უზარმაზარი კატორღის საპყრობილეებში იტანჯება, კატორღისა, რადაც გადაქცეულია ჩვენი ქვეყანა, ჩვენ მოგწერდით: ნუ დაგვტოვებთ თვითნებობის სამეფოში! გაიძლიერეთ ბრძოლა, რომ ხელი შეუშალოთ ამგვარ დანაშაულობათა დაუჯერელად ჩადენას! ასეთ მოწოდებას შეიცავს იმ ესპანელი მუშებისა და მაღაროელების ჯგუფის წერილი, რომლებიც ფრანკოელმა ჯალათებმა მიმდინარე წლის მაისში ჩაყარეს ასტურიის პროვინციის ერთ-ერთ საპყრობილეში საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

პატრიოტთა ეს წერილი, რომელიც რაღაც საოცრებით გამოეპარა საიდუმლო პოლიციის ცენზურას, ამხილებს საზარელ დანაშაულობებს, რასაც ახორციელებენ ესპანეთის პოლიტიკური პოლიციის შავბნელ კაზემატებსა და ეგრეთწოდებულ „საგამომძიებლო“ ჯურღმულებში.

საშინლად აწამებენ და ამუჩად იგდებენ პატრიოტებს, რომლებიც დიქტატორის ხელისუფლებამ მიუვალ საპყრობილეებში გამოამწყვდიეს. არაადამიანურ ტანჯვა-წამებას იტანს ესპანელი ხალხის სახელოვანი შვილი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი რამონ ორმასაბალი, რომელიც მიმდინარე წლის 14 ივნისს შეიპყრო პოლიციამ ბილბაოში.

პოლიტიკური პოლიციის ორგანოებს 24 დღის განმავლობაში ჰყავდათ ორმასაბალი და მისი ამხანაგები პოლიციის კომისარიატში, უმკაცრესი იზოლაციის პირობებში. ვერც მუქარამ, ვერც ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა მათი ნებისყოფა.

რამონ ორმასაბალმა, რომელმაც ისეთივე მამაცობა გამოიჩინა, როგორიც თავის დროზე ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა სიმონ სანჩეს მონტეერომ და კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მიგელ ნუნიესმა, აგრეთვე ბევრმა სხვა კომუნისტმა გამოიჩინეს, პოლიციელთა წამებას შემდეგი განცხადებით უპასუხა:

„ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ და ყოველი ღონისძიებით ვიბრძოდი იმ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხელს უწყობს ყველა ესპანელის ეროვნული თანხმობის დამყარებასა და მოკალაქეთა მშვიდობის რეჟიმის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხთა ნების თავისუფალ გამოვლინებასა და ხალხთა ინტერესების პატივისცემას“.

უშიშარმა კომუნისტმა პირში მიახალა პოლიციელებს: „მე ვაცხადებ, რომ ეუსკადიისა და მთელი ესპანეთის ამასწინანდელი დიდი გაფიცვების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს ესპანეთის კომუნისტური პარტია, მე კი, ჩემი მხრივ, სრულ პასუხისმგებლობას ვკისრულობ ეუსკადიის კომუნისტების იმ მოქმედებისათვის, რომლის მიზანია მიღწეულ იქნეს ზემოთ აღნიშნული მიზნები“!

პოლიტიკური კრმისის ორგანოები ყოველგვარი მუქარის გზით ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ორმასაბალმა შეიცვალოს თავისი განცხადება, რათა დაამახინჯონ მისი პოლიტიკური შინაარსი. მაგრამ იგი კატეგორიულად ამბობს უარს პასუხი გასცეს პოლიციის მიერ დასმულ კითხვებზე და კვლავ ადასტურებს თავის წერილობით განცხადებას.

ფრანკისტული ესპანეთის ხელისუფლები ორმასაბალსა და მასთან ერთად დაპატიმრებულ ამხანაგებს ბრალად სდებენ „სამხედრო ამბოხებას“. უახლოეს ხანში ბრალდებულნი უნდა წარსდგნენ საგანგებო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე.

ფრანკოელ ჯალათთა ბოროტმოქმედებანი მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. იმ საზარელი ანგარიშის გასწორების წინაშე, რომელსაც ფრანკო უმზადებს ორმასაბალს, როდრიგესსა და მათ ამხანაგებს, მშრომელები, დემოკრატები, ესპანელი ხალხის ყველა მეგობარი იმაღლებენ ხმას. მოითხოვენ გაუქმდეს ის კანონი, რომ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილოს ეგრეთწოდებული დანაშაულობანი პოლიტიკური შეხედულებებისათვის.

საქართველოს საზოგადოებრიობა ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უერთდება ამ პროტესტს და მრისხანედ მოითხოვს: შევაჩეროთ დიქტატორ ფრანკოს ფაშისტი ჯალათები! თავისუფლება ესპანელ პატრიოტებს! (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გამოსცეს კუგაში

ჰავანა, 9 აგვისტო. (საქდესი). კუბის ეროვნულმა გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე. ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოცემულია ესპანურ ენაზე.

პირველ ადგილზე

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტმა გადმოსცა შემდეგი ცნობა ვაშინგტონიდან:

საბჭოთა კავშირმა 1953 წლიდან დაწყებული გაადიდა ერბო-კარაქის წარმოება 80 პროცენტით და ახლა მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ამ პროდუქციის წარმოების მხრივ.

გამოაქვეყნა რა ამის შესახებ ცნობა 7 აგვისტოს, ამერიკის საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის სამსახურმა განაცხადა, რომ ერბო-კარაქის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში რჩება 1953 წლის დონეზე.

მიღებული ცნობების თანახმად შარშან ერბო-კარაქის წარმოებამ საბჭოთა კავშირში შეადგინა 1,97 მილიარდი გირვანქა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 1,54 მილიარდი გირვანქა.

რეაქციონერთა გამოწდომა

გუაიაკილი, 10 აგვისტო. (საქდესი). ბოროტმოქმედთა ჯგუფმა მოახდინა თავდასხმა ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პედრო საადას სახლზე. ამასთან დაკავშირებით ეკვადორის კომუნისტურმა პარტიამ, უთაოოს პროვინციის მშრომელთა ფედერაციამ და გუაიაკილის პროფკავშირებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში კომპარტიის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ გუაიაკილის რეაქციონერი მერი აქეზებს თავის მომხრეებს დახოცონ კომუნისტები და პროფკავშირების ხელმძღვანელები.

კოლანდიის მშრომელები პროტესტს აცხადებენ ატომური იარაღის წარმოებისა და გამოცდის წინააღმდეგ, რომელიც სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს ხალხებისათვის. იმართება დემონსტრაციები და მიტინგები. [illegible] რომ[illegible] სურათზე: [illegible] საკდესის ფოტოკრონიკა.

ვინ აქეზებს ჯერორისტებს

ბერლინი, 9 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 6 აგვისტოს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებს იმასთან დაკავშირებით, რომ 20 ივლისს პროვოკაციული აფეთქება მოეწყო ქალაქის რკინიგზის სადგურის „ბოტანიშერ გარტენის“ ლანდშაგებზე დასავლეთ ბერლინში. როგორც აღნიშნულია ნოტაში, დასავლეთბერლინელმა ტერორისტებმა აფეთქება იმ მომენტში მოაწყეს, როცა სადგურის ბაქანს უფლოვდებოდა ქალაქის ელექტრომატარებელი. ამის შედეგად დაზიანდა მატარებლის ოთხი ვაგონი, ჩაიმსხვრა ახლო მდებარე საცხოვრებელი სახლების ფანჯრები. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა დროებით შეეჩერებინათ მიმოსვლა არა მარტო ელექტრომატარებლებისა, არამედ აგრეთვე მიმოსვლა შორი მგზავრობის გზებზე დასავლეთ ბერლინიდან და დასავლეთ ბერლინში, რომლებითაც მოძრაობს აგრეთვე საკუთაცი სახელმწიფოთა ტრანსპორტები.

მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა საქალაქო რკინიგზის ბოიკოტი, რასაც დასავლეთ ბერლინის სენატი აწყობს, ახლა, ნათქვამია ნოტაში, საქალაქო რკინიგზაზე ეწყობა აფეთქებანი და სხვა პროვოკაციები. ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის მიზანია მოქმედი სამართლის უაღრესად უხეში დარღვევის გზით დასავლეთ ბერლინში განახორციელონ ანექსია საქალაქო რკინიგზის ტერიტორიისა, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის. საკონიგზო მიმოსვლის დროებითი დარღვევა, რაც გამოიწვია „ბოტანიშერ გარტენის“ სადგურზე მოახდენმა აფეთქებამ, დამაჯერებლად ადასტურებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არაერთგზის სერიოზულ გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ პროვოკაციები რკინიგზაზე საფრთხეს უქმნიან. სატრანზიტო საკონიგზო მიმოსვლას დასავლეთ ბერლინთან, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ქალაქის საკონიგზო მიმოსვლასთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ ხაზს უსვამს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებიც საოკუპაციო ფუნქციებს ახორციელებენ დასავლეთ ბერლინში, ეკისრებთ სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი დასავლეთ ბერლინის სენატის მიერ შექმნილი ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, მოელის, რომ ტერორისტულ ჯგუფებს დაუყოვნებლივ დაშლიან და მათ მონაწილეებს სასტიკად დასჯიან, რათა აღიკვეთოს შემდგომი პროვოკაციები, რომლებიც შეიცავენ მშვიდობის დარღვევის საფრთხეს.

ტელეგრაფი გვაცნობებს

„მინიტმენი“ აფეთქდა

ნიუ-იორკი. (საკდესი). საოკეანეანთა შორისო ბალისტიკური რაკეტის „მინიტმენის“ გაუმჯობესებული მოდელი აფეთქდა დღეს ფრენის დროს 40 წამის შემდეგ. რაც გაუშვეს მიწისქვეშა ვერტიკალური შახტიდან, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი კანაველრალის კონცხიდან.

გაცემულია ბიდოს დაპატიმრების ორდერი

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ სასამართლო ხელისუფლებმა გასცეს ორდერი საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის (ოასის) ერთ-ერთი მეთაურის ჟორჟ ბიდოს დასაპატიმრებლად, რომელიც ამჟამად უცხოეთში იმალება.

მოლაპარაკება დასავლეთ ირიანის შესახებ

ჯაკარტა, 10 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიონ დელ გაფრინდა ნიუ-იორკს ჰოლანდიელებთან მოლაპარაკებაზე. გაფრენის წინ სუბანდრიომ გამოთქვა იმედი, რომ დავა დასავლეთ ირიანის შესახებ, რომელიც უკვე თორმეტი წელია გრძელდება, მომავალ მოლაპარაკებაზე გადაიჭრება.

ნაგასაკი მოუწოდებს...

ტოკიო, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს 11 საათსა და 02 წუთზე ტოკიოს დროით, იმ მომენტში, როცა 17 წლის წინათ ამერიკის თვითმფრინავიდან ნაგასაკზე ჩამოაგდეს ატომური ბომბი, ფერფლიდან წამომდგარი ქალაქის მოსახლეობამ ერთი წუთის მწუხარე დუმილით პატივი სცა ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ხსოვნას.

მრავალათასიან მიტინგზე, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტის თაოსნობით ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლთან გაიმართა, მისმა მონაწილეებმა — ნაგასაკისა და სხვა ქალაქების მოსახლეობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე მშვიდობის მარშების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 104 წევრი-სახელმწიფოსადმი — ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ სულ უახლოეს დროში კაცობრიობამ სამუდამოდ მოუღოს ბოლო ატომურ იარაღს და შექმნას მშვიდობიანი ცხოვრება, სადაც არ იქნება ატომური და წყალბადის ბომბები.

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). გენერალი ხუან ბატისტა ლოსა გუშინ საღამოს გადადგა არმიის სახელმწიფო მდივნისა და არმიის მთავარსარდლის პოსტიდან, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან. გენერალი ლოსა იძულებული იყო მიეღო ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც გენერალ ტორანსო მონტეროს, რომელმაც მის წინააღმდეგ ამბოხება წამოიწყო, შეუერთდა კიდევ რამდენიმე ცნობილი მხედართმთავარი, ხოლო არგენტინის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელებმა უარი უთხრეს გაეწიათ მისთვის დახმარება ამბოხების ძალით ჩახშობაში.

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, გენერალი ტორანსო მონტერო და მისი მომხრეები მოითხოვენ არმიის რეორგანიზაციას და მისი რიგებიდან პერონას მომხრე ოფიცრების განდევნას.

ნგოდინდიემელთა პროვოკაციები

ჯაკარტა, 9 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომ ნგო ფინ დიემის ხელისუფალები, ჩრდილოეთ ვიეტნამში ჯაშუშურ-დივერსიული რაზმების შეგზავნის გარდა, თითქმის ყოველდღიურად თავიანთ ჯარისკაცებსა და აგენტებს გზავნიან დემილიტარიზებულ ზონაში, რათა მოაწყონ პროვოკაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სამი კვირის განმავლობაში მოხდა 114 ასეთი შემთხვევა. ამ დროის მანძილზე დემილიტარიზებულ ზონაში სულ გაიგზავნა 1.096 კაცი.

საფრანგეთის მთავრობა კუნწოს

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). ინფორმაციის საკითხთა სტატს-მდივანმა პეიერეფიტმა მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ უარი უთხრა ალჟირს მის თხოვნაზე მისცეს კრედიტი. ამ თხოვნით მიმართა ამას წინათ საფრანგეთის მთავრობას დროებითი აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარემ ფერხატმა.

პეიერეფიტმა, კერძოდ, განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა შეიტლებს შეასწავლოს ეს თხოვნა, „როცა ალჟირის სახელმწიფო თვითონ დაამყარებს წესრიგს თავის ფინანსურ საქმეებში“. ჯერ-ჯერობით კი, განაგრძო პეიერეფიტმა, ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ეს საკითხი, თქვა პეიერეფიტმა, ახალი ფორმით დაისმება იმ დღეს, როცა საფრანგეთს საქმე ექნება საბჭოთა სახელმწიფოსთან, „რომელსაც შესაძლებლობა აქვს ზუსტად განსაზღვროს თავისი საჭიროებანი“.

„რაკეტა“ დუნაიზე

ვენაში ჩავიდა საბჭოთა წყალქვეშაფრთებიანი ხომალდი „რაკეტა“. გემმა ავსტრიის დედაქალაქის მცხოვრებლებსა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. „რაკეტა“ დუნაიზე პირველი რეისის დროს ეწვევა დუნაისპირა ქვეყნების უდიდეს ნავსადგურებს.

„კრილიონის“ ეკიპაჟში ესმარება...

60-ზე მეტჯერ ეწვია ხომალდი „კრილიონი“ ჩრდნეტუნის (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) და იაპონიიდან გადაიყვანა 60 ათასზე მეტი კორეელი მოქალაქე, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების სურვილი განაცხადეს. როგორც ხომალდის კაპიტანი **შ. ასათიანი** იტყობინება, საბჭოთა მეზღვაურები დიდ დახმარებას უწევენ ხონ-ჩუანის საზღვაოსნო სასწავლებელს, რომელიც კადრებს უმზადებს რესპუბლიკის სატრანსპორტო ფლოტს. მოსწავლეები საბჭოთა გემზე აწყობენ სასწავლო ელექტრო და რადიო სანავიგაციო ხელსაწყოებს და სხვ. ისინი მაღლიერების გრძნობით იღებენ სპეციალისტების კონსულტაციას.

დიდი მაღალიტანეს 12.000 მილზე

საბჭოთა კავშირის შეკეთეთი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ამენდა გემები „არმანი“ და „ხანკო“. ისინი გაივლენენ კლაიპედის ნავსადგურიდან, დაძლიეს მრავალი სიძნელე და შორეულ აღმოსავლეთში ბუქსირით ჩაიტანეს მეტრავი დოკი, რომელიც სახალინის თეგზმეური ფლოტისათვის არის განკუთვნილი. „არმანმა“ და „ხანკომ“, მეტრავმა დოკმა 12 ათასზე მეტი მილი გაიარეს.

„ირანი“ აფრიკაში

მიმდინარე წლის ნავიგაციისას ხომალდმა „არაგვმა“ აფრიკიდან რიგაში უკვე ჩამოიტანა ბანანისა და ანანასის პირველი პარტია. ამ დღეებში სურნელოვანი ტკბილეულობისათვის გემი გავრნეას ეწვევა.

მათი პოლიტიკა, მათი მორალი

უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს, — იტყვის ზოგიერთი, როცა გაიგებს, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა, აგრეთვე მთავრობის ინსტანციებმა თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, აღიარეს დიდი ხანია დადგენილი ფაქტი: ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტისადმი კონტროლი სავსებით შესაძლებელია აღმოჩენის ეროვნულ საშუალებათა დახმარებით, ეს იგი თანამედროვე მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი საშეცნიერო ხელსაწყოების დახმარებით.

— მოითმინეთ! — წამოიძახებს ბევრი დასავლეთში. — ხომ ამას ამტკიცებდა მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა მთავრობა, შეერთებულ შტატებს კი არა და არ უნდოდათ დათანხმებოდნენ ამას, რითაც აფერხებდნენ შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ! ყველაფრის მიხედვით, როცა ეს ნაკარნახევია მათი პოლიტიკით — გამალებული შეიარაღებისა და ომის მომზადების პოლიტიკით — კაპიტალისტურ მოღვაწეთა მორალი სულ სხვადასხვაგვარად გასაგები ცნება ხდება.

მაგრამ როგორ შეთანხმონ მორალის ელემენტარულ პრინციპებთან ის, რაც ხდება ხატოს სახელმწიფოების კარდახშულ სამხედრო-საკვლევ ლაბორატორიებში? ავბედითს საიდუმლოებს ოდნავ ახადა ფარდა ტრაგიკულმა შემთხვევამ, რომელიც ამას წინათ მოხდა ინგლისში.

პორტონ-დაუნის სამხედრო-საკვლევ ბაქტერიოლოგიურ ცენტრში გარდაიცვალა ბიოლოგი ჯოფრი ბეკონი. ლაბორატორიული მუშაობის დროს მას გადაედო შავი ჭირი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების შემდეგ „შავ სიკვდილს“ უწოდებენ.

„შავი სიკვდილი“! ამ სიტყვების წარმოთქმისას ყოველ ინგლისელს აგონდება ბუბონური ჭირი შავი ჭირის საშინელი ეპიდემია, რომელმაც XVII საუკუნეში გააჩანაგა ლონდონი და ინგლისის სხვა ქალაქები, — ამ ეპიდემიის საშინელებანი აუწყეს შთამომავლობას იმ დროის მემატიანეებმა. ფილტვის შავი ჭირის მიკრობი, რომელსაც პორტონ-დაუნში ამრავლებენ და რომელმაც შეიწირა ჯ. ბეკონი, კიდევ უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე ბუბონური შავი ჭირის მიკრობი.

ადამიანმა ბოლო მოუღო შავ ჭირს და პრაქტიკულად გაწმინდა ამ დაავადებისაგან დედამიწა, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში თეორხალათიანი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან, დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა ნებით ამრავლებენ მას თავიანთ სინჯარებში ხელოვნური გზით! და ეს როდი ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ მორალს...

როგორც ჯ. ბეკონის სიკვდილთან დაკავშირებით გამოირკვა, მეცნიერები პორტონ-დაუნში ამრავლებენ არა მარტო შავი ჭირის მიკრობებს, არამედ ყვავილის, ბოტულიზმის (მძიმე მოწამვლა ქვების პროდუქტებით) და სხვა დაავადებათა მიკრობებს. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მეცნიერი კორესპონდენტი ეპიდემიური სიმშვიდით იუწყება:“ ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი დახმარებით შეიძლება უფრო ზუსტად განისაზღვროს ბაქტერიოლოგიური ომის შესაძლებლობანი. მეცნიერებს სურთ დაადგინონ, შეიძლება თუ არა შხამიანი ფორმები გახდეს კიდევ უფრო შხამიანი ან უფრო ეფექტიანი“.

საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე ინგლისის სამხედრო უწყება და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო ერთმანეთს უცვლიან ნაპოვნ მიკრობებსა და ბაქტერიებს. შეერთებულ შტატებში ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადება უაღრესად ფართოდ არის დაყენებული და ამერიკელ გენერლებს უყვართ ამით ტრაბახი.

ახლა, როცა ნემეზიდა—შურისგება—თავს დაატყდა ერთ-ერთ მეცნიერს, რომელიც მიკრობების გამრავლებას ეწეოდა, პორტონ-დაუნის, აგრეთვე მეზობელი ქალაქების სოლსბერისა და უილტონის მცხოვრებნი პანიკამ მოიცვა. ორმოცზე მეტი კაცი მკაცრ საექიმო მეთვალყურეობაში ჰყავთ, და შავი ჭირის გავრცელების საფრთხეს ჯერ არ გაუვლია. ინგლისის მთავრობის წრეებთან ახლო მდგომ გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“ ამაზე უკეთესი ვერაფერი გამოუნახავს, რომ გამოთქვას სურვილი—„განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ საკვლევი ცენტრი პორტონ-დაუნიდან გადაიტანონ რომელიმე უფრო დაშორებულ ადგილას“.

ლონდონელი ჯენტლმენები, რომლებიც განუწყვეტლივ ასწავლიან საბჭოთა ადამიანებს ქრისტიანულ მორალს, სირცხვილით უნდა იწვოდნენ. არა, შავი ჭირის ბაქტერიების „ოჯახეთური სამზარეულოს „რომელიმე უფრო დაშორებულ ადგილას“ გადატანაზე კი არ უნდა ფიქრობდნენ, არამედ იმაზე, რომ სულ მთლად მოსპონ იგი.

საერთაშორისო მიმოხილვა

ხალხები შეძლებენ ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, წყალბადის ბომბებისა და შავი ჭირის ბაქტერიებს წარმოებას. ყველა ქეყვანა გამოეხმაურა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მოწოდებას — იმოქმედონ მშვიდობის დასაცავად და იმოქმედონ ერთსულოვნად.

6 აგვისტოს დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი ჰელსინკში, რომელმაც ჩაიარა ლოზუნგით „მშვიდობისა და მეგობრობისათვის“. ფესტივალმა დიდი წვლილი შეტანა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის დაახლოების კეთილშობილურ საქმეში.

ჩაიშალა ფესტივალის ჩაფუშვის ცდები, რომლებიც განახორციელეს იმათ, ვისაც არ მოსწონს ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა. საწადელს ვერ მიაღწიეს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტთა სპეციალურმა ჯგუფებმა და ყოველგვარი ფაშისტური ორგანიზაციების პროვოკატორების რაზმებმა, რომლებიც მიელინებული იყვნენ ჰელსინკში. ყველა კონტინენტის ახალგაზრდობა ზურგს უჩვენებს იმათ, ვინც აღიარებს ცივ ომს და ამზადებს ცხელ ომს.

ამ მხრივ საგულისხმო ეპიზოდი მოხდა ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციის თეთრი სახლის ბაღში ამერიკის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულ ბრაზილელ სტუდენტთა ჯგუფის მიღების დროს. მიღება მოეწყო იმ მიზნით, რომ რეკლამა გაუკეთონ ეგრეთწოდებულ „პროგრესის ათვის კავშირს“, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების დასაკაბალებელი ამერიკული ინსტრუმენტია. ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, მაგრამ უეცრად სტუდენტმა ხოსე კეხელემ შემდეგი საჩოთირო კითხვა მისცა პრეზიდენტ კენედის (მომყავს ოფიციალური სტენოგრამის მიხედვით, რომელიც შემდეგ გამოაქვეყნა თეორმა სახლმა):

— ბატონო პრეზიდენტო, როგორ შეათანხმოთ, ის, რომ, მიუხედავად მთელი ლაპარაკისა მშვიდობაზე, რომელსაც, თქვენი სიტყვით, თქვენი ქვეყანა იცავს, თქვენი ქვეყნის ახალგაზრდობას, როგორც ჩანს, ომისათვის ამზადებენ აგრესიული ომის პროპაგანდით, რისთვისაც გამოყენებულია კაკშირგბმულობის ყველა მასობრივი საშუალება—რადიო, ტელევიზია და გაზეთები? მაგალითად, გასულ კვირას ჩვენ ორი თუ სამი საათის განმავლობაში ვეუყურებდით ტელევიზიით საომარი პროგრამების გადაცემას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაცვლად ისისა, რომ თქვენი ქვეყნის ხალხის შეგნება დააყენოთ მშვიდობის გზაზე, თქვენ მას აყენებთ ისეთ გზაზე, რომელიც მოგვაგონებს გერმანიას, ჰიტლერის მილიტარისტულ გერმანიას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰიტლერულ გერმანიასთან შედარება არ მოეწონა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მაგრამ საგულისხმოა, რომ მან ვერ გამონახა რამდენადმე დამაჯერებელი მოსაზრებანი, რათა გაებათილებინა ასეთი შედარება და, ირსებითად, ითხოვა დაეჯერებინათ მისთვის, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიას არ მოახდენენ“.

უბრალო ადამიანები სულ უფრო მტკიცედ და გაბედულად გამოდიან იმ მთავრობებისა და სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ, რომლებიც ჯიუტობას იჩენენ აგრესიულ პოლიტიკაში. ჩვენს დროს მათ ვეღარ უშველით ვერც თეორი ძაფით გაბლანდული პოლიტიკური მანევრები, ვერც ბურჟუაზიული მორალის ფარისეველური ქადაგება.

ბორის იზაკოვი.

საგენტო „ახალი ამბების“ კომენტატორი



სავაჭრო ცენტრი ჩიკაგოში—კენედის ოჯახის მრავალთაგან ერთ-ერთი სამფლობელო.

ფოტო ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტიდან“, ვაშინგტონი.

კენედის მილიონები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი ყველაზე მდიდარი პრეზიდენტია მის წინამორბედთა შორის. მის ქონებას მიოლონობით დოლარს ანგარიშობენ, მაგრამ რამდენი მილიონისაა ეს ქონება, ეს ოჯახური საიდუმლოებაა, რომელსაც გულმოდგინედ იცავენ.

გარდა ამისა, გადასახადის გადამხდელები წელიწადში შვიდ მილიონ დოლარს ხარჯავენ თეთრი სახლის შესანახავად. პრეზიდენტი ყოველწლიურად იღებს 100.000 დოლარ ჯამაგირს პლუს 50 ათასი დოლარი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და კიდევ 40 ათასი დოლარი სატრანსპორტო ხარჯებისათვის.

პირადი შემოსავალი პრეზიდენტს ორი წყაროდან აქვს. ჯერ ერთი, იგი დიდი ქონების მფლობელია. გარდა ამისა, პროცენტებს იღებს კაპიტალის იმ თანხიდან, რაც მდიდარმა მამამ ჯოზეფ კენედიმ დაგაბანდა.

ორი თვის წინათ 29 მაისს — დაბადების 45-ე წლისთავზე პრეზიდენტმა კენედიმ საჩუქრად მიიღო ამ საგარეულო აქციების დიდი ნაწილი. ცნობილი არ არის, აქციების რა ნაწილი ერგო მას, რადგან კაპიტალი საკმაოდ რთულ პირობებში მოათავსეს. ყოველ შემთხვევაში საჩუქრებს, რომლებიც პრეზიდენტ კენედის 45 წლის შესრულების დღეს მიართვეს, ორნახევარიდან ხუთ მილიონ დოლარამდე ანგარიშობენ.

თეთრი სახლის ცნობით, აქციების თავისი წილიდან და საკუთარი კაპიტალიდან პრეზიდენტის პირადი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების შემდეგ აღწევს სულ მცირე 100 ათას დოლარს წელიწადში.

პრეზიდენტ კენედის პირადი სახსრები დაბანდებულია მთავრობის ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე ცალკეული მტაცებლისა და ოლქების ფასიან ქაღალდებში. ამ ფულიდან დაახლოებით 1 მილიონი დოლარი დაბანდებულია გადასახადებისაგან განთავისუფლებულ ქაღალდებში რაც მას ყოველწლიურად აძლევს 40 ათას დოლარამდე შემოსავალს.

პრეზიდენტი კენედი ერთ სახლს ფლობს ჰაიანის-პორტში (მასაჩუსეტსის შტატი), სადაც იგი ჩვეულებრივ ატარებს თავის შვებულებას. კენედიმ, როცა პრეზიდენტი გახდა, გაშინგტონის რაიონში გაყიდა სახლი, რომლითაც სენატორობის დროს სარგებლობდა.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კენედი პრეზიდენტი გახდებოდა, რაიმე კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მან გაყიდა თავისი საბირჟო აქციები. ამ მიზნით აქციების ამასწინანდელი კურსის დაცემა პირადად მას არ შეხებია.

კენედის ოჯახის აქციები, რომელთა ნაწილს ფლობს პრეზიდენტი, დაბანდებულია უძრავ ქონებაში, კერძოდ ჩიკაგოს „მერჩადის მარტის“ მსხვილ საბაჭრო ცენტრში. კენედის ოჯახი ნავთობის აქციებსაც ფლობს.

როგორც ჯოზეფ კენედის მეშვიდე შვილს, პრეზიდენტ კენედის საგვარეულო აქციების მეშვიდედი ერგება. დადგება დრო, როცა იგი პირადად განახორციელებს კონტროლს აქციების ნაწილზე.

კენედის ოჯახის მთელი სიმდიდრ-, მომხვეჭია პრეზიდენტის მამა ჯოზეფ კენედი. ჯოზეფ კენედიმ იცის, თუ რა არის ფული. ადასტურებენ, რომ მის მიერ დაგროვილი კაპიტალი სულ მცირე 400 მილიონ დოლარს შეადგენს.



— **ყოჩაღად** იყავით, ბატონებო, მოგება თქვენთვის უზრუნველყოფილია. კონგრესმა ჩემი სამხედრო ბიუჯეტი დაამტკიცა.

ნახატი ჟურნალ „დიკობრაზიდან“ პრაღა.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 11 აგვისტო, 1962 წ.

სიჯაბუკის ზეიმი

ფიზიკური აღზრდა, სპორტი ძლიერების, მხნეობის წყაროა

მილიონთა სპორტი

დღეს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება ფიზკულტურელის საკავშირო დღე, მთელი საბჭოთა ხალხის ტრადიციული დღესასწაული, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სილამაზის დღესასწაული. ამ დღეს ჩვენი ხალხი აწყობს საბჭოთა ფიზკულტურელების მრავალმილიონიანი არმიის მიღწევებისა და წარმატებების დათვალიერებას.

ათასობით სტადიონზე, წყალჯამარდობის სადგურებზე, აუზებში, სპორტულ მოედნებზე მილიონობით საბჭოთა ქალიშვილი და ჭაბუკი დაგვანახვებს თავის ოსტატობას, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი.

განუზომლად დიდია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობისათვის, ფიზიკური კულტურის მასობრივი განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებელთა სულიერად და ფიზიკურად აღზრდისათვის.

ყველა მშრომელთან ერთად ჩვენი სამშობლოს ფიზკულტურელი ქალები და ვაჟები თავდადებით მუშაობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებში, მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპში, როცა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების როლს. ახლანდელ ეტაპზე ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად ეყრდნობა ფართო დემოკრატიულ საწყისებს და მისდამი ხელმძღვანელობას „არჩევითი საზოგადოებრივი ორგანიზაციანი ანსორიელებს.

უკანასკნელ ხანს დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების ცხოვრებაშიც.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვალდებულება იკისრეს ექვს წელიწადში შეასრულონ შვიდწლედი, — ნათელი გახდება, რა დიდი და საპატიო ამოცანებია დასახული ჩვენს წინაშე. სერიოზული მუშაობა უნდა გავწიოთ სპორტის ოსტატთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების დარგში. თუ 1957 წელს მომზადებულ იქნა 83 სპორტის ოსტატი, 1961 წელს კი ერთიორად მეტი (172), 1964 წლის დამლევისათვის ეს ტემპები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს — უნდა მოვამზადოთ 1.500 სპორტის ოსტატი. შარშანწინ სპორტულ სექციებში მომზადებულ იქნა 1.500-ამდე პირველთანრიგოსანი, შარშან — 1.822, დარჩენილ სამ წელიწადში კი მათი რიგები 6.300 კაცით უნდა გადიდდეს. ამასთან უნდა დავძინოთ, რომ ამავე ხნის განმავლობაში 34 ათასმა ფიზკულტურელმა მეორე სპორტული თანრიგი უნდა მიიღოს და სხვ.

მეორე საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ გახვლილ სამ წელიწადში ქართველი სპორტსმენები ხშირად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში და 35 ოქროს, 14 ვერცხლისა და 27 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, დამყარეს 2 მსოფლიო, 7 საკავშირო და 320-ზე მეტი რესპუბლიკური რეკორდი.

ამავე ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი.

წელს და 1963 წლის დამდეგს პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების, რესპუბლიკის მთელი სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა — მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩაატარონ რესპუბლიკური სპარტაკიადის ყველა ეტაპი, შეარჩიონ ნამდვილად საუკეთესონი, მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გასაგზავნად.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა რაოდენობა რესპუბლიკაში 3.700 კაცს აღემატება. მათ შორის 39 მწვრთნელმა მიიღო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მაღალი წოდება, ხოლო 66-მა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება; ასეთები არიან: მ. თიკანაძე, ა. მეეფარიანი, მ. კეკელიძე, პ. იორდანიშვილი, ვ. კუხიანიძე, შ. ნოზაძე, გ. ქარსელაძე, ლ. კაპიტანოვი, შ. მუსასტიკოვი და სხვები. ისინი ნაყოფიერად შრომობენ საბჭოთა სპორტის საკეთილდღეოდ.

სპეციალისტებთან ერთად ფიზკულტურულ მოძრაობაში მონაწილეობს დიდი არმია მასობრივი ფიზკულტურის საზოგადოებრივი ორგანიზატორების — ფიზორგებისა, კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებისა, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯებისა სპორტის ყველა სახეობაში. ეს მძლავრი ძალაა. ამჟამად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა რაოდენობა 29.000 კაცს აღემატება, სპორტული მსაჯებისა — 23.000 კაცს. ჩვენს საუკეთესო მსაჯებს: გ. ჩიკვაიძეს, კ. ზაუტაშვილს, ლ. ძეკონსკის, ნ. ჩხატარაშვილს, ვ. ჯაფარიძეს მიენიჭათ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება.

რესპუბლიკას ჰყავს კარგი საზოგადოებრივი კადრები, რომლებიც მთელ თავიანთ ძვირფას დროს სპორტის განვითარებას ახმარენ.

ასეთების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ რესპუბლიკური სექციების თავმჯდომარეები: კრივში — ლ. ღუდუშაური, კალათბურთში — ა. ჭიორაძე, წყალბურთში — ლ. მესხიშვილი, ფეხბურთში — გ. ჯინჭარაძე, მთამსვლელობაში — ნ. ქეცხოველი, ჭადრაკში — გ. ჯაბუა, მძლეოსნობაში — ლ. სანაძე, ჩოგბურთში — ვ. კანდელაკი, ჭიდაობაში — ი. სარაჯიშვილი და ბევრი სხვა.

ამაღლდა იმ სპეციალისტთა საერთო მომზადების დონე, რომლებსაც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი უშვებს.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და ბევრი სხვა ქალაქის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოებთან მთელი წლის განმავლობაში მოქმედებენ ახალგაზრდობის სპორტული სკოლები, რომელთა ძირითადი ამოცანა ის არის, რომ განაგრძონ იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა სრულყოფა, რომლებმაც დაამთავრეს სამინისტროებისა და უწყებების საბავშვო სპორტული სკოლები.

როგორც ცნობილია, ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველია ფიზიკური კულტურის კოლექტივი. სწორედ აქ, კოლექტივში, წყდება დღეს საბჭოთა ფიზკულტურელების წინაშე მდგომი ყველა ძირითადი საკითხი.

დღეს რესპუბლიკის ათეულ ათასობით მუშა და მოსამსახურე ყოველდღიურად ასრულებს საწარმოო ტანვარჯიშს და სატანვარჯიშო პაუზას სამუშაო დღის რეჟიმში. ფართოდ გავრცელდა მასობრივი ტურისტული ლაშქრობა, გასეირნება გამოსასვლელისწინა დღეებში და სხვა ფიზკულტურული გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივების (ცოროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხანა, თბილისის მთავარი სატრანსპორტო სამმართველო, ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სხვ.) გამოცდილებამ ცხადყო, რომ მათ შეუძლიათ მაღალკვალიფიციური სპორტული კადრების მომზადების ნამდვილი სამეცნიერო გახდნენ.

სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ზრდა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ გვექნება კეთილმოწყობილი სპორტო ბაზები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წლითიწლობით სულ უფრო ფართოდ იშლება სასპორტო მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობა, საეკსპლოატაციოდ გადაეცემა ხოლმე ახალი კომპლექსები.

ამჟამად საქართველოს სპორტსმენთა განკარგულებაშია: 3 დიდი, 11 სამუალო და 34 პატარა სტადიონი, ფეხბურთის 1.257 მოედანი, ჩოგბურთის 152 კორტი, კალათბურთის 2.025 მოედანი, ფრენბურთის 3.977 მოედანი, 27 საცურაო აუზი და 464 სასპორტო დარბაზი.

მ ა ბ რ ა ვ ი რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს წარსულში მოპოვებული წარმატებანი, ის ახალი ამოცანები, რომლებიც დღეს ჩვენი სპორტსმენების, ფიზკულტურელების, მწვრთნელების, მასწავლებლების წინაშე დგას, იმდენად დიდია, რომ მათი შესრულებისათვის ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

1961 წელს სპორტულ საზოგადოებებს არ შეუსრულებიათ პირველი თანრიგის მძლეოსანთა მომზადების გეგმა, ამ მხრივ კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრები, საქმის ვითარება უკეთესად არც საქართველოს სკოლებში დგას.

სპორტის ამ და ზოგიერთ სხვა სახეობებში დაბალი შედეგი შემთხვევითი როდია. საქმე ის არის, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე არ ხორციელდებოდა ღონისძიებანი მწვრთნელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მნიშვნელოვნად ჩამორჩა წვრთნის მეთოდიკა.

მასობრიობის მხრივ ყველაფერი რიგზე რომ არ არის და არსებულ ხელსაყრელ პირობებს სრულად რომ ვერ იყენებენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: ქალაქებში — სოხუმში, ცხინვალში, გორში, რუსთავში, სამტრედიის, წალენჯიხის, მარნეულის, საჩხერის, თერჯოლისა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს ახალგაზრდობის სულ ბევრი 40 პროცენტი.

ისეთ ქარხნებში, ფაბრიკებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორიც არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ავარის შაქრის ქარხანა, თბილისის პლასტმასის ქარხანა, ბამბეულის ფაბრიკა, სამგორის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი“, საბჭოთა მეურნეობა „ელდარი“ და სხვ. მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტული მუშაობის დაყენებას უმაღლეს სასწავლებლსა და ტექნიკუმებში, სადაც თავმოყრილია ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ბევრ უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში წლითიწლობით ვერ სრულდება უმაღლესი თანრიგების სპორტსმენთა და სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმები.

თბილისის ზოოვეტერინარულ და სამედიცინო ინსტიტუტებში, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მოსწავლეთა შორის სასწავლო-სპორტული მუშაობა დაბალ დონეზეა დაყენებული.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტულ საზოგადოებათათვის 1962 წლის მნიშვნელოვან მოვლენებს უნდა მიეკუთვნოს სტუდენტთა სრულიად საკავშირო საზაფხულო სპორტული თამაშები, რომლებიც ჩვენს მშობლიურ თბილისში მოეწყო. ამ თამაშებმა, რომლებშიც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული 7.000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ორგანიზებულად ჩაიარა.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უახლოესი ამოცანაა წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა 1963 წლის III სპარტაკიადაზე, საბჭოთა კავშირის 1962 წლის პირველობებში და, რაც მნიშვნელოვანია, დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება საერთაშორისო ასპარეზობებში, ჩემპიონატებში.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანები — მოიპოვონ ახალი წარმატებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის განვითარებაში, წარმატებით მოემზადონ სრულიად საკავშირო შეჯიბრებებში ღირსეულად გამოსვლისათვის, იბრძოლონ სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის, იმ უფლებისათვის, რომ იყონ პრიზიორთა რიცხვში სპორტის ყველა სახეობაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.



ეს ჭაბუკები და ქალიშვილები, მზეს, სიცოცხლეს რომ შეჰხარიან, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა სპორტსმენები არიან. მათ შრომაც სახალხელო იციან და დასვენებაც. თავისუფალი დროის გარკვეულ ნაწილს სხეულის გაკაჟებას ანდომებენ, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობენ და წარმატებებიც ცუდი როდი აქვთ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.
და შ. ჩხეტიანისა.

ბიბლიოთეკა

ასე შრომობენ, იწრთობიან...

ერთი საწარმოს სპორტსმენებთან

თ ბ ი ლ ი ს ი ს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში საწარმოს მუშამოსამსახურეთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, მათ უყვართ შრომა, უყვართ სპორტი. ისინი შრომობენ, რათა კიდევ უკეთესი იყოს ცხოვრება, რათა პირნათლად შეასრულონ შვიდწლედის დავალებები. თავისუფალ დროს კი ახალგაზრდული გატაცებით ეჯიბრებიან ერთმანეთს სიმარდეში, მოქნილობაში.

საამქროებში დაზგათა ხმაური მიწყდა, ფართოდ გაიღო კარები. ცვლა გამოვიდა... მოდიან ქალიშვილები და ჭაბუკები, მოდიან, მოუხარიათ. კომბინატის სპორტულ მოედნებზე კი მზადებაა მომავალი შეხვედრებისათვის. მშვენიერ ხეივნებში ჩაფლული ეზო აქვს კომბინატს. მუშებს კარგად მოუწყვიათ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები.

კომბინატის მუშებმა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიუძღვნეს სპორტული კლუბის „ფეიქარის“ პირველი სპარტაკიადა. საამქროები და განყოფილებები ერთმანეთს ეცილებოდნენ ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, სროლაში, ჭადრაკში, შაშში, ძალოსნობაში, ველორბოლაში.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური პირველობების მუდმივი მონაწილენი არიან კომბინატის სპორტსმენები. ახლახან გამართულ საწარმოთა სპორტკლუბების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, რომელიც წინ უძღოდა საკავშირო სპარტაკიადას, კომბინატის სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს ველორბოლაში, მეორე ადგილი — სპორტულ ტანვარჯიშში.

ახლა მუშა სპორტსმენთა წარგზავნილები საწარმოთა სპორტკლუბების I საკავშირო სპარტაკიადაზე იღებენ მონაწილეობას. მცურავები დნეპროძერჟინსკში ასპარეზობენ, ტანმოვარჯიშეები — ტულაში, ველორბოლები კი ლატვიის დედაქალაქ რიგის მახლობელ გზატკეცილებზე იბრძვიან პირველობისათვის.

კომბინატში ფიზკულტურელთა რიცხვი 1.200-ს აღწევს, აქედან სამი სპორტის ოსტატია, 28 — პირველთანრიგოსანი, 288 მუშას მეორე ან მესამე სპორტული თანრიგი აქვს.

კომბინატში ყველა კარგად იცნობს წარმოების მოწინავე ადამიანებს, მოწინავე მუშებსა და სპორტსმენებს. მთავარ მექანიკურ განყოფილებაში შრომობს მეორე თანრიგოსანი მძლეოსანი მ. ახობაძე. ეს ჭაბუკი კარგად უხამებს ერთმანეთს შრომას, სწავლასა და სპორტს. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საღამოს დასწრებულის სტუდენტია. პირველთანრიგოსანი ფრენბურთელი ს. ბრიუხანოვი მთავარ ენერგეტიკულ განყოფილებაში მუშაობს. I სართავი საამქროს მოწინავე მუშას ტ. ფრედინსკაიას პირველი სპორტული თანრიგი აქვს კალათბურთში. II სართავ საამქროს მქსოველი ზ. ჩიკვაიძე მეორეთანრიგოსანია მძლეოსნობაში.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა სპორტსმენთა კოლექტივი ერთი პატარა რაზმია ახალგაზრდების იმ დიდი არმიისა, რომელსაც უყვარს შრომა, გარჯა და ამავე დროს ხარბად ეწაფება მხნეობისა და ძლიერების წყაროს — ფიზიკურ წრთობას, სპორტს.

ო. ლორთქიფანიძე.

საბჭოთა სპორტი ციფრებში

□ დღეისათვის მსოფლიო რეკორდების თითქმის ნახევარი სპორტის ყველა სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. გასულ სეზონში მათ 297-ჯერ გაუმჯობესეს სსრ კავშირის რეკორდები, აქედან 145 მსოფლიო რეკორდს აღემატება. მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში საბჭოთა სპორტსმენებმა 70-ჯერ შეიტანეს შესწორება სსრ კავშირის რეკორდების ცხრილში და 28-ჯერ მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

□ ჩვენს სპორტსმენებს მეგობრული კავშირი აქვთ მსოფლიოს 75 ქვეყნის ფიზკულტურელებთან. მარტო გასულ სეზონში საბჭოთა კვეყნის 10.000 სპორტსმენი გამოდიოდა საზღვარგარეთ და ამდენივე სტუმარი გვიწვია უცხოეთიდან.

□ უკანასკნელი თუთმეტი წლის მანძილზე საქართველოში 400.000 კაცით გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი, ხოლო ასპარეზობაში მონაწილეთა რაოდენობა — ნახევარი მილიონით. ამავე წლებში სპორტის ოსტატის რიგები გაიზარდა ათჯერ, პირველთანრიგოსანთა რიცხვი — ხუთჯერ.

□ წელს საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 22 პირველობაში, ევროპის 14 ჩემპიონატში და ევროპის თასის 7 გათამაშებაში. ამ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს სპორტსმენები — კალათბურთელები, მოჭიდავეები, მოჭადრაკეები, ჩოგბურთელები.



ტელეფონის ხაზზეა ქ. კარლსრუე

უკანასკნელი მატჩის წინ

დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი კარლსრუეში გამართავს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ტურნირს უკანასკნელ მესამე მატჩს.

ამასთან დაკავშირებით, გუნდის უფროსმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღ ო ღ ო ბ ერ ი ძ ემ ტელეფონით გვაცნობა:

მართალია, ჩვენი ორი გამოსვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ, ნოიკირჰენსა და ჰანოვერში წარმატებით არ დამთავრებულა — ორივე მატჩის შედეგი ფრე 1:1, 2:2, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ დასავლეთ გერმანიის პრესისა და ფეხბურთის სპეციალისტთა შეფასებით, ქართველმა ფეხბურთელებმა აჩვენეს ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი, კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება.

ჩვენ ვცხოვრობთ კარლსრუეს გარეუბანში, სადაც მოწყობილია შესანიშნავი კომპლექსური სპორტული ბაზა-სასტუმრო. აქვე ორჯერ ჩავბარეთ ვარჯიში, დავისვენეთ და მზად ვართ უკანასკნელი მატჩისათვის.

სტადიონი, სადაც გამოსვლა მოგვიხდება, 50.000 მაყურებელს იტევს და ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად ითვლება.

თქვენთვის ალბათ საინტერესოა, რას წარმოადგენს ჩვენი მოწინააღმდეგე „კარლსრუეს“ სპორტული კლუბის გუნდი. მას ამ ქვეყნის ჩემპიონატებსა და საერთაშორისო მატჩებში ბრძოლის კარგი ტრადიცია აქვს. თავის ზონაში „კარლსრუეს“ მეოთხე-მეხუთე ადგილები უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ამ კლუბის ორი მოთამაშე შედის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

როგორც შევიტყეთ, ჩვენი მოწინააღმდეგე გამოირჩევა შეუპოვრობით, ტემპიანი ბრძოლით. ყველაზე ძლიერ ხაზად გუნდში თავდამსხმელთა ხუთეული ითვლება.

დაირღვა მატჩის დაწყების გრაფიკი. თუ აქამდე ვთამაშობდით დღისით, ახლა ბრძოლა მოგვიწევს საღამოს პროჟექტორებით განათებულ მოედანზე. მატჩი დაიწყება 20 საათზე ადგილობრივი დროით, რაც თბილისის დროით 23 საათს უდრის.



საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ, საკავშირო და უფრო დიდ მასშტაბის ასპარეზობებში. ბევრი მათგანის გვარი შესულია ჩემპიონთა, რეკორდსმენთა, პრიზიორთა სიებში.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა რამდენიმე წარმომადგენელს, რომლებმაც თავიანთი სპორტული მძლწევებით ბევრჯერ დაიცვეს ღირსეულად ქართული სპორტის სახელი. აი ესენიც: (მარცხნიდან) სპორტული ტანმოვარჯიშე მ. ნინოშვილი, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი გ. მინაშვილი, ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა და მოტომრბოლი ო. ცალქალამანიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კერესი თუ გელერი?

როგორც ცნობილია, კიევრასაოს ტურნირში მეორე და მესამე ადგილები გაიზიარეს საბჭოთა გროსმაისტერებმა პაულ კერესმა და ეფიმ გელერმა. პრეტენდენტთა ტურნირის დებიულებით ასეთ შემთხვევაში ეწყობა დამატებითი მატჩი 4 პარტიისაგან, რათა გამოვლინდეს მათ შორის უძლიერესი.

ეს იმისათვის არის საჭირო, რომ თუ მსოფლიო ჩემპიონობაზე შეხვედრაში ერთ-ერთმა მეტოქემ ვერ მიიღო მონაწილეობა, მაშინ მის ადგილს დაიკავებს პრეტენდენტთა ტურნირში მეორე ადგილზე გამოსული მოჭადრაკე.

ჭადრაკის საკავშირო ფედერაციამ დაამაყოფილა კერესისა და გელერის თხოვნა, — ნაცვლად 4 პარტიისა გათამაშდება 8 პარტია. შეჯიბრება ჩატარდება მოსკოვში 11 აგვისტოდან.

ეს ორი გროსმაისტერი არაერთხელ შეხვედრია ერთმანეთს. ანგარიშია 11:9 კერესის სასარგებლოდ. ხუთი პარტია მოიგო კერესმა, სამი — გელერმა, დანარჩენი ყაიმით დამთავრდა.

არმიელთა მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ოცდამეერთე ფინალი

ვინ მოიგებს თასს?

1936 წელი. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გარიჟრაჟი. ამ სეზონში ჩაეყარა საფუძველი დიდ ფეხბურთს, რომელსაც დღეს მილიონობით მოყვარული ჰყავს.

ფეხბურთის ეს სეზონი ბევრს ახსოვს, მათ შორის პირველ რიგში თბილისელებს. სწორედ ამ წელს მიიღეს თბილისის დინამოელებმა „ა“ კლასის საგზური და ამავე წელს თასის პირველი გათამაშების ფინალში აღმოჩნდნენ.

მოსკოვი. 1936 წლის 28 აგვისტო. მოედანზე არიან ფინალისტები — დედაქალაქის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“...

როგორც იტყვიან, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ფეხბურთის მოყვარულებმა ოცი ფინალი ნახეს, ოცჯერ გადაეცა გამარჯვებულებს ბროლის თასი.

დაიი დადგა XXI ფინალის დღე — 11 აგვისტო, რომელიც ემთხვევა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ეს ფინალი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში გასული წლის თასის მფლობელ დონეცკის „შახტიორთან“ ერთად მონაწილეობას იღებს „ბ“ კლასის წარმომადგენელი — ორეხოვო-ზუევოს „ნამია ტრუდა“.

„შახტიორი“ თუ „ნამია ტრუდა“, გამოცდილება თუ ახალგაზრდული შეტევა? — აი რა აინტერესებთ დღეს ფეხბურთის მოყვარულებს. ეს მატჩი შედგება მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.

ალბათ გაინტერესებთ, ვინ იყვნენ თასის მფლობელნი? 1936 წ. — მოსკოვის „ლოკომოტივი“, 1937 წ. — მოსკოვის „დინამო“, 1938–39 წწ. — მოსკოვის „სპარტაკი“, 1944 წ. — ლენინგრადის „ზენიტი“, 1945 წ. — ცდკა, 1946-47 წწ. — მოსკოვის „სპარტაკი“, 1948 წ. — ცდკა, 1949 წ. — მოსკოვის „ტორპედო“, 1950 წ. — მოსკოვის „სპარტაკი“, 1951 წ. — ცდსა, 1952 წ. — მოსკოვის „ტორპედო“, 1953 წ. — მოსკოვის „დინამო“, 1954 წ. — კიევის „დინამო“, 1955 წ. — ცდსა, 1957 წ. — მოსკოვის „ლოკომოტივი“, 1958 წ. — მოსკოვის „სპარტაკი“, 1960 წ. — მოსკოვის „ტორპედო“, 1961 წ. — დონეცკის „შახტიორი“.

ფიზკულტურელის დღეს მიუძღვნეს

საქართველოს ალპინისტთა დიდ ჯგუფი სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. მარის ხელმძღვანელობით ამბირზე იმყოფება. ეს ჯგუფი წვრთნასთან ერთად აწყობს სიმაღლეზან ასვლებს, მწვერვალის დაპყრობას.

გუშინ მიღებულია ასეთი ცნობა:

ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ხერგიანის ხელმძღვანელობით 2 აგვისტოს დაამთავრა პირველი ასვლა პამირის უმაღზე, რომლის სიმაღლე 5.505 მეტრია. მწვერვალის დაპყრობაში მ. ხერგიანთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ჯ. გუგავამ, ბ. გვარლიანმა, შ. ჩართოლანმა, თ. ნარჩემაშვილმა.

საქართველოს ალპინისტებმა თავიანთი ასვლა მიუძღვნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

პირველი ჩემპიონები

ტულა, 10 აგვისტო. (საკადსი). ტულაში გამოირკვა პირველი ჩემპიონები ჩვენი ქვეყნის სასპორტო კლუბების ტანმოვარჯიშეთა შორის.

აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ: ლევ უშაკოვი (კლუბი „ვიმპელი“, ქ. კალინინგრადი), რომელმაც მიაღწია ჩინებულ შედეგს — 111,85 ქულა და რიმა ისაიკინა (კლუბი „ფილი“). მისი შედეგია მრავალჭიდში — 74.3 ქულა.

საპრიზო მედლები მოიპოვეს აგრეთვე ჯემალ ფრიდონიშვილმა (კლუბი „სინათლე“, თბილისი) და სხვ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

12 აგვისტო
პირველი პროგრამით

06.45 — შრომის სიმღერები, 08.30 — უვერტიურები, მშენებელთა და მეგობრობის სიმღერები, 09.15 — მსუბუქი მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი, 11.30 — რადიოოპერეტა „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — ქართული პოპულარული კამერული მუსიკა, 12.45 — ბეთჰოვენი-ლისტი. ფანტაზია „ათენის ნანგრევები“, 13.20 — საკვირაო გადაცემათა პროგრამა, 13.30 — მუსიკალური გადაცემა — „იცით თუ არა“, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ნილსის საოცარი მოგზაურობა“ (II გადაცემა), 14.45 — საუბარი: „მშენებლის დღე“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — ნაწყვეტი მ. ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“, 16.15 — რადიოოპერეტა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — ნაწყვეტები ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტედან“, 17.40 — გადაცემა ბავშვებისათვის ლევიტინის ოპერა „თხუპნია“, 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მშენებლებო!“ 19.00 — რადიოოპერეტა „მეცნიერება და ტექნიკა“, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.20 — რადიოოპერეტა „შოლტი“, 21.00 — რადიონარკვევი „ლამაზი ხელები“, 21.45 — მოვუსმინოთ საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს“.

ტელევიზია

11 აგვისტო

18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები“, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — გადაცემა „დასვენებაც კარგი იცოან“..., 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი — „ოგოროპირი“, 20.30 — გადაცემა — „სიმღერები ეკრანზე“, 21.00 — ახალი ამბები. 21.15 — მხატვრული ფილმი — „713 დაშვებას ითხოვს“.

კინო

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი** — (საზამთრო) — ნახტომი უფსკრულზე, **თბილისი**, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ნაკადული** — ძმები კომაროვები, კოსმონავტი №..., **ისანი** (საზაფხულო) — გზა ნამისადგომისაკენ, **სპარტაკი**, **26 კომისრის** სახელობის (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — საქმიანი და უქმი დღეები, **კომკავშირელი**, **ვაკის პარკი**, **ორჯონიკიძის** სახელობის **კულტურისა** და **დასვენების ცენტრალური პარკი** — მოიპარეს ბომბი, **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი** (საზაფხულო), **კომშენარების ბაღი** — სეიმი ნაპირებიდან გადმოდის, **ჭავჭავაძის** სახელობის **კლუბი** — მენდი,

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.